

ოფიციალური მოსკოვი გაერო-ში მამუკა ბახტაძის გამოსვლას პასუხობს

✘ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო გაერო-ს გენერალური ასამბლეის 73-ე სესიაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის, მამუკა ბახტაძის გამოსვლას ეხმაურება.

„ყურადღება მივაქციეთ საქართველის მთავრობის ხელმძღვანელის მამუკა ბახტაძის გამოსვლას გაერო-ს გენერალურ ასამბლეაში, სადაც მან რუსეთს მოუწოდა, ხერი არ შეუშაროს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ რაღაც „ახალი სამშვიდობო“ ინიციატივის განხორციელებას. გამოსვლამ დატოვა უცნაური შეგრძნებები. როგორც ვხედავთ, მსოფლიო საზოგადოებას კვლავ შთააგონებენ რეალობისგან უსასრულოდ დაშორებულ წარმოდგენას, რომ რესპუბლიკების მოსახლეობა დიდი ხანია, სიხარულით დაბრუნდებოდა საქართველოს შემადგენლობაში, რომ არა „რუსი ოკუპანტები“. ვიმედოვნებთ, რომ თავად ქართველი პოლიტიკოსები, პროპაგანდისტური ვარჯიშისგან თავისუფალ დროს მაინც, აცნობიერებენ რეალურ მდგომარეობას“, - აღნიშნულია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში.

რუსეთის საგარეო უწყებაში აღნიშნავენ, რომ თბილისის სამშვიდობო ინიციატივა განისაზღვრება არა მოსკოვის დამოკიდებულებით, არამედ იმით, თუ როგორ აღიქვამენ მას სოხუმსა და ცხინვარში.

„როგორც ცნობილია, რუსეთი დიდი ხანია, მოუწოდებს საქართველოს, დაიწყოს ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული დიალოგი აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან. უმჯობესია, ქართულმა მხარემ გამოიყენოს შესაძლებლობა, მოყვეს თავისი შეთავაზებების შესახებ ჟენევის დისკუსიებზე, რომელსაც, გაერო-ს განგანსხვავებით, ესწრებიან ამ რესპუბლიკების წარმომადგენლები. ჯერ ასეთ შესაძლებლობას თბილისი უგუდვებდეს“, - ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

